

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №16
2016 წლის 28 ივლისი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 63-ე მუხლის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №32 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯამბულ ხოზრევანიძე

დანართი

ხულოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი
თავი I

ხულოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
შემოსავლები	9,400,458	9,813,671	13,372,365
გადასახადები	147,175	483,199	2,828,000
გრანტები	8,846,092	8,732,261	10,087,509
სხვა შემოსავლები	407,191	598,211	456,856
ხარჯები	5,549,015	6,298,769	7,125,139
შრომის ანაზღაურება	2,282,018	1,748,262	1,630,409
საქონელი და მომსახურება	810,715	926,224	1,252,719
სუბსიდიები	1,827,697	2,071,086	2,445,479
გრანტი	0	542,663	362,536
სოციალური უზრუნველყოფა	606,713	556,802	603,639
სხვა ხარჯები	21,872	453,732	830,357



საოპერაციო სალდო	3,851,443	3,514,902	6,247,226
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,549,577	4,940,329	6,666,194
ზრდა (შემენა)	2,561,361	4,943,808	6,666,194
კლება (გაყიდვა)	11,784	3,479	0
მთლიანი სალდო	1,301,866	-1,425,427	-418,968
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,301,866	-1,428,187	-456,849
ზრდა	1,301,866	2,695	0
ვალუტა, დეპოზიტები	1,301,866	2,695	0
სესხები	0	0	0
კლება	0	1,430,882	456,849
ვალუტა, დეპოზიტები	0	1,430,882	456,849
სესხები	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	0	-2,760	-37,881
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	0	2,760	37,881
სესხები	0	0	0
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
შემოსულობები	9,412,242	9,817,150	13,372,365
შემოსავლები	9,400,458	9,813,671	13,372,365
არაფინანსური აქტივების კლება	11,784	3,479	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	8,110,376	11,245,337	13,829,214
ხარჯები	5,549,015	6,298,769	7,125,139
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,561,361	4,943,808	6,666,194
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0



ვალდებულებების კლება	0	2,760	37,881
ნაშთის ცვლილება	1,301,866	-1,428,187	-456,849

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13 372 365 ლარის ოდენობით:

შემოსავლების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
1	შემოსავლები	9,400,458	9,813,671	13,372,365	819,195	12,553,170
11	გადასახადები	147,175	483,199	2,828,000	0	2,828,000
13	გრანტები	8,846,092	8,732,261	10,087,509	819,195	9,268,314
14	სხვა შემოსავლები	407,191	598,211	456,856	0	456,856

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2 828 000 ლარის ოდენობით:

შემოსავლების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
11	გადასახადები	147,175	483,199	2,828,000	0	2,828,000
11111	საშემოსავლო გადასახადი	0	0	350,000		350,000
11311	ქონების გადასახადი	147,175	483,199	2,478,000	0	2,478,000
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	135,740	460,634	2,461,000	0	2,461,000



113112	უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	0	0	0	0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,491	1,648	2,000	0	2,000
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	847	1,172	0	0	0
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	9,097	19,745	15,000	0	15,000
116	სხვა გადასახადები	0	0	0	0	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 10 087 509 ლარის ოდენობით:

შემოსავლების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
13	გრანტები	8,846,092	8,732,261	10,087,509	819,195	9,268,314
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	134,538	0	30,121	0	30,121
133	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	8,711,554	8,732,261	10,057,388	819,195	9,238,193
1331	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	8,711,554	8,732,261	10,057,388	819,195	9,238,193
	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი გრანტები	6,323,600	6,323,500	5,986,000	0	5,986,000
	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	0	199,700	252,193	0	252,193



	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	1,496,403	1,300,000	3,000,000	0	3,000,000
	სხვა ტრანსფერი	891,551	909,061	819,195	819,195	0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 456 856 ლარის ოდენობით:

შემოსავლების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
14	სხვა შემოსავლები	407,191	598,211	456,856	0	456,856
141	შემოსავლები საკუთრებიდან	291,169	343,669	269,970	0	269,970
1411	პროცენტები	200,393	203,526	154,970	0	154,970
14115	დეპოზიტზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	200,393	203,526	154,970	0	154,970
1415	რენტა	90,776	140,143	115,000	0	115,000
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის	85,576	129,489	115,000	0	115,000
14154	შემოსავლები მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან	5,200	10,654	0	0	0
142	საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	11,116	9,227	7,000	0	7,000
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	9,366	9,227	5,000	0	5,000
14223	სანებართო მოსაკრებელი	6,616	4,391	1,000	0	1,000



1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობისა) ნებართვაზე	6,616	0	1,000	0	1,000
14227	სახელმწიფო ბაჟი	0	0	0	0	0
14229	ასლის გადაღება	0	21	0	0	0
142210	სატენდერო მოსაკრებლები	0	0	0	0	0
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	200	0	0	0	0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	0	0	0	0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2,550	4,815	4,000	0	4,000
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1,750	0	2,000	0	2,000
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1,750	0	2,000	0	2,000
142329	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან	1,750	0	2,000	0	2,000
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	27,491	51,501	35,000	0	35,000
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		80,000	70,000		70,000
1441	მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა		80,000	70,000		70,000
145	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	77,415	113,814	74,886	0	74,886

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 7 125 139 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

				2016 წლის გეგმა	
				მათ შორის	



ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	სულ	სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
2	ხარჯები	5,549,015	6,298,769	7,125,139	13,164	7,111,975
21	შრომის ანაზღაურება	2,282,018	1,748,262	1,630,409	0	1,630,409
22	საქონელი და მომსახურება	810,715	926,224	1,252,719	13,164	1,239,555
24	პროცენტი	0	0	0	0	0
25	სუბსიდიები	1,827,697	2,071,086	2,445,479	0	2,445,479
26	გრანტი		542,663	362,536	0	362,536
27	სოციალური უზრუნველყოფა	606,713	556,802	603,639	0	603,639
28	სხვა ხარჯები	21,872	453,732	830,357	0	830,357

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 666 194 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 666 194 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

პროგრამული კოდი	მხარჯავი დაწესებულება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	100,307	103,386	37,500	0	37,500
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	207,450	2,081	0	0	0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,623,792	3,593,008	4,632,946	806,031	3,826,915



05 00	განათლება	201,288	967,094	1,051,418		1,051,418
06 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშწყობა და სპორტი	412,085	272,308	931,330	0	931,330
07 00	მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	16,439	5,931	13,000	0	13,000
	სულ ჯამი	2,561,361	4,943,808	6,666,194	806,031	5,860,163

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით:

აქტივებზე ოპერაციების კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა		
		სულ	სულ	სულ	მათ შორის	
					სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	ადგილობრივი ბიუჯეტი
31	არაფინანსური აქტივები	11,784	3,479	0	0	0
311	ძირითადი აქტივები	4,469	764	0	0	0
314	არაწარმოებული აქტივები	7,315	2,715	0	0	0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმში 13 791 333 ლარით:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
1	2	3	4	5
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,306,758	2,242,949	2,250,596
7011	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,231,727	2,153,322	2,250,596
70111	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი	2,231,727	2,153,322	2,190,596



	ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა			
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	60,000
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	75,031	89,627	0
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	75,031	89,627	0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0	0	0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების მომსახურებაში	0	0	0
702	თავდაცვა	95,314	83,388	13,365
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	684,783	405,624	0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0	0	0
7032	სახანძრო დაცვა	684,783	405,624	0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	44,099	72,353	1,039,400
7042	სოფლის მეურნეობა	0	6,403	0
7045	ტრანსპორტი	44,099	65,950	1,039,400
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,720	21,234	922,350
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	38,379	44,716	117,050
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	0	0	0
705	გარემოს დაცვა	217,666	317,471	544,244
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	112,647	119,597	152,651
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	105,019	197,874	391,593
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1,825,930	3,792,186	3,942,956
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	602,495	482,373	578,519
7063	წყალმომარაგება	207,677	1,982,264	1,814,582
7064	გარე განათება	107,292	177,504	311,440
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	908,466	1,150,045	1,238,415
707	ჯამრთელობის დაცვა	106,671	150,266	183,307



7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	106,671	150,266	183,307
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,299,497	1,411,526	2,595,968
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	323,994	477,289	777,533
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	966,596	925,651	1,790,600
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8,907	8,586	27,835
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0
709	განათლება	1,010,256	2,171,878	2,481,084
7091	სკოლამდელი აღზრდა	574,562	899,959	1,156,000
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	435,694	1,271,919	1,325,084
710	სოციალური დაცვა	519,402	594,936	740,413
7107	სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	34,693	35,176	36,600
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	484,709	559,760	703,813
	სულ ბიუჯეტის გადასახდელები	8,110,376	11,242,577	13,791,333

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 418 968 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 456 849 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 456 849 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,301,866	-1,428,187	-456,849
ზრდა	1,301,866	2,695	0
ვალუტა, დეპოზიტები	1,301,866	2,695	0
სესხები	0	0	0
კლება	0	1,430,882	456,849
ვალუტა, დეპოზიტები		1,430,882	456,849



სესხები	0	0	0
---------	---	---	---

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 37 881 ლარის ოდენობით.

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	0	2,760	37,881
კლება	0	2,760	37,881
სესხები	0	0	0

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის გამართვა-კეთილმოწყობის, გარე განათების, გამწვანების, სანიტარიული დასუფთავების, ასევე განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 ხულო-ბემუმისა და ღორჯომი-ზორტიყელის მიმართულებით მგზავრთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 02)



მოსახლეობის თხოვნით დაგეგმილია ხულო-ბეშუმისა და ღორჯომი-ზორტიყელის მიმართულებით უფასო მიკრო ავტობუსების დანიშვნა, რომლის აუცილებლობაც გამოწვეულია მგზავრთა სიმრავლით. პროგრამა იფუნქციონირებს მანამ სანამ მოსახლეობა იმყოფება სამთო იალაღებზე.

2.2 კურორტ ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

კურორტი ბეშუმი თავისი ტერიტორიული მდებარეობით და კლიმატით ერთ-ერთი საუკეთესო და მიმზიდველია დამსვენებელთათვის, სადაც წლის განმავლობაში სტუმრობს შვიდიდან დამსვენებელზე მეტი, მაგრამ ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით საგზაო ინფრასტრუქტურა თითქმის მთლიანად მოშლილია იგი უარყოფითად მოქმედებს დამსვენებელთა გემოვნებასა და ინტესესზე კურორტის მიმართ, რის გამოც შეიძლება დამსვენებელთა კლების ტენდენცია. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილია კურორტ ბეშუმის შიდა გზების აღდგენა და მოასფალტება, რაც მოგვცემს დამსვენებელთა მარტივი და კომფორტული გადაადგილების საშუალებას, ასევე გაიზრდება დამსვენებელთა ნაკადი და მათი კმაყოფილების დონე.

2.3 ბელღეთი-ბოძაურის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 05)

აღნიშნული სოფლები ერთმანეთთან დაკავშირებულია, როგორც საცალფეხო ისე საავტომობილო ხიდით. გამომდინარე იქიდან, რომ საავტომობილო ხიდი შორი გზით აკავშირებს ერთმანეთთან, ამიტომ მოსახლეობა გადასაადგილებლად იყენებს საცალფეხო ხიდს, რომელიც მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას. შედეგად მივიღებთ აღნიშნული სოფლებისათვის უსაფრთხო და რეაბილიტირებულ ინფრასტრუქტურას.

2.4 ხულო-თაგოს ბაგირგზის მექანიზმების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 06)

აღნიშნული ტრანსპორტით სარგებლობს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დიდი მოწონებით სარგებლობს ტურისტებში. მისი გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭიროა არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

2.3 ა(ა)იპ – „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა (პროგრამული კოდი 03 02)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თაგოს“ სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტით სარგებლობს, როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ასევე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებშიც. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ – „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა. ბაგირგზის მცირე შემოსავლების გამო (20 თეთრი) მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

2.4 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყლის სისტემების მოვლის ღონისძიებები, საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები და ქუჩების მოვლის ღონისძიებები.

2.4.1 განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „გარე განათების მოვლა-ექსპლოატაციის“ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელების სრულყოფას, ენერჯის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დანერგვა, განათების თანამედროვე წყაროების, ახალი მასალების გამოყენება, ღამით უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 77 დასახლებულ პუნქტში 3928-მდე წერტილის



მომსახურება.

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის იალაღებზე ელექტრო გადამცემი ქსელის მოწყობა – ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის იმ მთებში ელექტრო ენერჯის ქსელის მოწყობას, სადაც დღემდე არ არის ელექტრო ენერჯია. ქვეპროგრამის აუცილებლობა გამოწვეულია მოსახლეობისათვის უფრო მარტივი და სრულყოფილი ცხოვრების პირობების შექმნის მიზნით.

დაგეგმილია კურორტ ბეშუმში გარე განათების მოწყობა – რაც დამსვენებელთა და მოიალალეთათვის შექმნის კომფორტულ და მიმზიდველ გარემოს, ხელი შეეწყობა ღამის საათებში უსაფრთხო გარემოს შექმნას.

2.4.2 სანიტარიული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დაბის და თემის ცენტრებში ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ასევე მწვანე საფარის დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა. ზამთრის პერიოდში განხორციელდება ტერიტორიის დასუფთავება ჭარბი თოვლისა და ყინულისაგან.

2.4.3 კურორტ ბეშუმის ნაგავსაყრელის დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03 03 02)

კურორტი ბეშუმი თავისი ტერიტორიული მდებარეობით ძალიან ბევრ ტურისტსა და დამსვენებელს იზიდავს ზაფხულის საკურორტო სეზონის დროს. შესაბამისად კურორტი თავისი ეკოლოგიური მდგომარეობით სრულად უნდა აკმაყოფილებდეს იმ საჭიროებებს, რაც აუცილებელია კურორტის სრულყოფილი მუშაობისათვის. ქვეპროგრამა ფარგლებში განხორციელდება კურორტ ბეშუმის ტერიტორიაზე არსებული ნაგავსაყრელის დასუფთავებას.

2.4.4 უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების იზოლირება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.4.5 ა(ა)იპ – ხულოს წყალკანალი (პროგრამული კოდი 03 03 05)

ა(ა)იპ – – „ხულოს წყალკანალი“ ახორციელდება დაბა ხულოსა და მუნიციპალიტეტში არსებული 26 წყალსადენის მოვლასა და წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფას. დღეის მდგომარეობით ყველა წყალსადენი 24 საათიანი რეჟიმით უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას. 2016 წლიდან ა(ა)იპ – – „ხულოს წყალკანალი“ ასევე უზრუნველყოფს დაბის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და დაბისა და თემის ცენტრებში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშოების დასუფთავებას.

2.4.6 წყალსადენების რეაბილიტაცია-რემონტი, სახანძრო ავზების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

– მოსახლეობის მოთხოვნით დაგეგმილია სასმელი წყლის მიღების და გამანაწილებელი ავზების შექმნა რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგების მდგომარეობას. კურორტი ბეშუმი გამოირჩევა თავის ტერიტორიაზე არსებული სუფთა და ანკარა წყაროს წყლების არსებობით, რომელსაც სჭირდება სრულყოფილი ათვისება და რაციონალური ხარჯვა. დღეს არსებული სასმელი წყლის სისტემა კი თითქმის მოშლილია და საჭიროებს აღდგენას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბეშუმში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას და დამსვენებლებზე სუფთა და ხარისხიანი წყლის მიწოდებას. ყოველივე ეს დადებითად იმოქმედებს კურორტის მიმართ დამსვენებელთა ინტერესზე, გაიზრდება მათი კმაყოფილების დონე.

– ვერნების წყალსადენის რეაბილიტაცია – სოფლის მოსახლეობას დღემდე არ მიეწოდება საკმარისი რაოდენობით სასმელი წყალი. აღნიშნული ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელი იქნება



სოფლის მოსახლეობის 70 კომლის უზრუნველყოფა 24-საათიანი სასმელი წყლის მიწოდება.

– მუნიციპალიტეტის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში დაგეგმილია სახანძრო ავზების მოწყობა, რაც სწრაფი მანევრის საშუალებას მოგვცემს და შესაძლებელს გახდის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას, მათი შედეგების ლიკვიდაციას, მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მშენებლობა გათვალისწინებულია 5 სოფელში, დიოკნისში, ბელეთში, ქვედა ვაშლოვანში, თაგოსა და აგარაში.

– ღორჯომის წყალსადენის მოწყობა – არსებული წყალსადენი თითქმის მოშლილია და საჭიროებს რეაბილიტაციას, რაც აუცილებელს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის.

– საციხურის წყლის სისტემის რეაბილიტაცია და გამანაწილებელი კაპტაჟის მოწყობა – არსებული წყლის სისტემა თითქმის მოშლილია და საჭიროებს რეაბილიტაციას. შედეგად მივიღებთ სასმელი წყლის გამართულ ქსელს, რითაც შესაძლებელი იქნება წყლის რესურსის მაქსიმალური ათვისება და სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა სასმელი წყლით.

– ოქრუაშვილებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილია სოფელ ოქრუაშვილებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და მილების შექმნა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის წყლით მომარაგების უზრუნველყოფას.

– მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანა – დაბის მოსახლეობის სასმელი წყლით კიდევ უფრო მომარაგებისათვის დაგეგმილია მთა საჯოგიადან ნეგოიანის წყალსადენზე სასმელი წყლის მიყვანა, რითაც გაიზრდება წყლის დებეტი.

– ვაშლოვანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია – არსებული წყლის სისტემა მოძველებული და მოშლილია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს არსებული მოსახლეობისათვის საკმარისი წყლის რაოდენობის მიწოდებას, რისთვისაც აუცილებელია მისი რეაბილიტაცია და წყლის დებეტის გაზრდა.

– ჭერში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – არსებული სისტემა მოშლილია და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის საკმარისი წყლის რაოდენობის მიწოდებას, რისთვისაც აუცილებელია მისი რეაბილიტაცია და წყლის დებეტის გაზრდა.

– ბაბანური-ხულოს წყალსადენის წყლის გამწმენდი შენობის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა – აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს წყალსადენის სრულ და გამართულ ფუნქციონირებას და შესაბამისად გაიზრდება წყლის ხარისხი.

2.4.7 საპროექტო-საკადასტრო აზომვები და საექსპერტო მომსახურება სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოები, მიმდინარე და შემდგომი წლის პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ასევე საპროექტო დოკუმენტაციის საექსპერტო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება.

2.4.8 სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 08)

– სანიაღვრე არხების მოწყობა (სხვადასხვა თემები) – მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში გზის სავალი ნაწილი ხშირად ზიანდება უხვი ნალექისაგან, რისთვისაც აუცილებელი გახდება სანიაღვრე არხების მოწყობა.

– კურორტ ბეშუმის საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია – ითვალისწინებს კურორტ ბეშუმის წყლისა და კანალიზაციის როგორც არსებული სისტემების რეაბილიტაციას, ასევე ახალი შტოების მოწყობას, რომელიც უზრუნველყოფს კურორტზე არსებული კოტეჯებისა და საზოგადოებრივი ობიექტების სრულ მომსახურებას. კურორტ ბეშუმში დღემდე არსებული წყლმომარაგებისა და კანალიზაციის საკომუნიკაციო ქსელი და მასთან დაკავშირებული ნაგებობები ამორტიზებულია, ხოლო ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში საერთოდ არ არსებობს. აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს კურორტის დამსვენებელთა სრულფასოვან მომსახურებას, შესაბამისად აუცილებელია მათი



რეაბილიტაცია ან ახლის მოწყობა, რითაც შესაძლებელი იქნება კურორტის შემდგომი განვითარება.

– **ლორჯომის ცენტრის მიმდებარედ მდინარის კალაპოტისათვის მიღების შექმნა** – ლორჯომის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამომავალი მდინარე საფრთხეს უქმნის არსებულ მოსახლეობას, რისთვისაც აუცილებელია მდინარის კალაპოტის მოსაწყობად მიღების შექმნა.

ასევე გათვალისწინებულია დაბა ხულოს საკანალიზაციო ქსელის მილსადენების შეცვლა და სოფელ დეკანაშვილებში დამატებითი შტოების მოწყობის მშენებლობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად 2015 წელში შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ღირებულების ანაზღაურება.

2.4.9 ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, ასევე ზამთრის პერიოდში დაბის ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდა.

2.5 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფერდსამაგრი სამუშაოების და დაბის ქუჩების მოასფალტების სამუშაოების განხორციელება, ასევე სკვერების და ქუჩების გამწვანების სამუშაოები, ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა კურორტ ბემუმში.

2.5.1 მუნიციპალური სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

– **ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფერდსამაგრი სამუშაოები** – იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში ხშირია ეროზიული პროცესები აუცილებელი გახდა ფერდსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რაც ცოტათი მაინც შეაჩერებს აღნიშნული პროცესების განვითარებას და გაიზრდება მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობა.

– **დიდაჭარაში სკოლის და ბაგა-ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე საყრდენი კედლების მოწყობა** – გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად გათვალისწინებული იყო შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2,5%-ის ანაზღაურება სამუშაოების დასრულების ერთი წლის შემდეგ, ან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

– **კიბეების მშენებლობა და სკამების მონტაჟი დაბაში (სამხატვრო გალერეიდან პოლიციის შენობამდე (გარდამავალი))** – აღნიშნული გზის მონაკვეთის ცენტრალური მდებარეობიდან გამომდინარე სარგებლობს დაბის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიუხედავად იმისა, რომ გზა გრუნტია და გადაადგილება ჭირს. შესაბამისად აუცილებელია აღნიშნულ მონაკვეთზე კიბეების და სკამების მონტაჟის მშენებლობა, რათა მოსახლეობას მიეცეს ნორმალური და უსაფრთხო ფეხით გადაადგილების საშუალება.

– **გასულ 2015 წელს განხორციელდა საბაგიროდან განახლების მიმართულებით კიბეების მშენებლობა, ხოლო მიმდინარე წელს დაგეგმილია აღნიშნულ კიბეებზე ბაღის სკამების და მოაჯირების მოწყობა.**

– **ქვედა ვაშლოვანის ცენტრში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკავება** – მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილია ქვედა ვაშლოვანის ცენტრში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკავება.

– **დაბის ქუჩებისა და ეზოების კეთილმოწყობა (მოასფალტება)** – დაბაში არსებული ასფალტის საფარი გარკვეულ ქუჩების მონაკვეთებში არის დაზიანებული და საჭიროა მისი არდგენა -რეაბილიტაცია, ასევე იქ სადაც ჯერ კიდევ არ არის ქუჩები მოასფალტებული განხორციელდება მისი მოასფალტება. პროექტის განხორციელების შემდეგ მოწესრიგდება ტერიტორია და ხელს შეუწყობს მოსახლეობის კომფორტულ გადაადგილებას.

– **დეკანაშვილებში საყრდენი კედლის მოწყობა** – მოსახლეობის მოთხოვნით საფუძველზე ხორციელდება დეკანაშვილებში საყრდენი კედლის მშენებლობა, რაც აუცილებელია სავალი გზის უსაფრთხოებისა და შეუფერხებელი გადაადგილებისათვის.



2.5.2 დაბა ხულოსა და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული პარკების, სკვერების და მოედნების გამწვანება მოვლა-შენახვა, შადრევნების მოვლა-შენახვა, ერთწლიანი სეზონური ყვავილების შეძენა-მოვლა, ხეებისა და ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, სხვადასხვა სახის დეკორატიული მცენარეების შეძენა და განაშენიანება.

2.5.3 მუნიციპალური შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 03)

– ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა კურორტ ბემუმში – კურორტ ბემუმში არ არის არცერთი სახის ადმინისტრაციული შენობა, სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც ზაფხულის ისე ზამთრის პერიოდში ა(ა)იპ – კურორტი ბემუმის თანამშრომლებისათვის სამუშაო ოფისით უზრუნველყოფა, რადგან მათზე სრულყოფილი სამუშაო გარემოს შექმნა ხელს შეუწყობს და დადებითად აისახება კურორტის სრულყოფილ მუშაობასა და დამსვენებელთა კმაყოფილების დონეზე.

– მოსაცდელის მშენებლობა (გუდასახო) – მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილია სოფელ გუდასახოში მოსაცდელის მშენებლობა.

– მუნიციპალური შენობების გამრიცხველიანება – ბოლო წლებში სოფლის პროგრამით აშენებული სოფლის სახლები და სხვა ნაგებობები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ცალკეული ადმინისტრაციული შენობები საჭიროებს ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფას და შესაბამისად გამრიცხველიანებას.

ასევე გათვალისწინებულია დაბაში თეატრონის ნაგებობის რეაბილიტაციის მშენებლობისათვის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად 2015 წელში შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ღირებულების ანაზღაურება.

2.6 მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში მოსახლეობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი მშენებლობა-რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას მიიღებს 555 ბავშვი. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება.

3.2 საბავშვო ბაღების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების მშენებლობას და რემონტს. 2016 წლისათვის დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ მეკეიძეებში ორ ჯგუფზე (45-50 ბავშვი), სოფელ კორტოხში საბავშვო ბაღის მშენებლობა ორ ჯგუფზე (45-50 ბავშვი), სოფელ თხილვანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა ორ ჯგუფზე (45-50 ბავშვი), სოფელ ფაჩხაში ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი) და დანისპარაულის ადმინისტრაციული შენობის ბაგა-ბაღად გადაკეთების სამუშაოები ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), განხორციელდა ვერნების საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება



(გარდამავალი) ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), ასევე დაგეგმილია საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა (ქედლები, ვერნები), რაც უზრუნველყოფს სკოლანდელი აღზრდის ბავშვთა განვითარებას, საერთო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ასევე ხელი შეეწყობა მოსახლეობის დასაქმებას და გაუმჯობესდება სოფლის მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე გათვალისწინებულია კვატიის, ხიხადირის, დაბის საბავშვო ბაღების და ჭახაურში დაწყებითი სკოლის გაფართოების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად 2015 წელში შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ღირებულების ანაზღაურება.

3.3 სკოლების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 04)

სოფელ ბოძაურის მოსახლეობის მოთხოვნით საფუძველზე დაგეგმილია სოფლის საჯარო სკოლის რემონტი, რაც ითვალისწინებს ლითონის ფურცლით მოჩარჩოებას და მცირე რემონტს. შედეგად მოზარდ თაობას მიეცემა უსაფრთხო სწავლის საშუალება.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არა ერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა ამ კუთხით აუცილებელია კიდევ უფრო ფართო ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების პროგრამაში, ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის და ა(ა)იპ – ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანის“ საქმიანობაში და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

4.1.1 ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის შემდგომი განვითარებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა, რომლის ფინანსურად უზრუნველყოფას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტი. სკოლაში სწავლობს 470 ბავშვი, ფუნქციონირებს ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, რაგბის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკის ჯგუფები. მეცადინეოები ტარდება სკოლის შემდგომ პერიოდში.

4.1.2 ა(ა)იპ – ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“ (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ – ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანის“ ფინანსურ მხარდაჭერას 2016 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში, ხოლო დარჩენილი საბიუჯეტო სუბსიდიით ხორციელდება „ფეხბურთის განვითარების პროგრამა“-ის დაფინანსება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად.

4.1.3 სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების



მემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მამტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმეტებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, (არიან ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიადის პრიზიორები), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობები. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება საჩუქრებით, ჯილდოებით და წლის ბოლოს გამორჩეული სპორტსმენები საჩუქრდებიან ფულადი ფორმით.

4.1.4 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული თოთხმეტი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მშენებლობას – სოფელ ბელეთის მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება, ქედლების სკოლის მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება, გელაძეების მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, უჩხოს მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობა, ხიხადირის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ირემაძეების მინი სპორტული მოედნის მავთულბადის ამალგება და ხელოვნური საფარის დაგება, მანიაკეთის მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება, წაბლანის მინი სპორტული მოედანზე მავთულბადის და ხელოვნური საფარის მოწყობა, ძმაგულის მინი სპორტული მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობა, დაბაში ცენტრალურ სტადიონზე არსებული შენობის რეაბილიტაცია – დაშენება, ასევე დაგეგმილია საციხურის მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, მთისუბნის მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, ღურტის მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, გურძაულის მინი სპორტული მოედნის მშენებლობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინი სპორტული მოედნების კვარცის სილით შევსება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვას.

4.1.5 ფეხბურთის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ – „ხულოს საფეხბურთო კლუბ ხიხანი“-ის საბიუჯეტო სუბსიდიის ხარჯზე „ფეხბურთის განვითარების პროგრამა“-ის შექმნას, რომელიც დაფინანსდება გრანტის სახით საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №107 დადგენილების შესაბამისად.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის აღზრდას, წარმოჩენას და გამოვლინებას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტი. ამ კუთხით დაბაში მოქმედებს სახელოვნებო სკოლა, სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, კულტურის ცენტრი, ხორციელდება სხვადასხვა კულტურული პროგრამები თუ ღონისძიებები, კონფერენციები და ღირშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი საღამოები.

4.2.1 ა(ა)იპ – ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამულიკოდი 05 02 01)

დაბა ხულოში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა, რომელიც ემსახურება ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, რითაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და ნიჭი აღნიშნული დარგის მიმართ. სკოლაში სწავლობს 85 ბავშვი.

4.2.2 ა(ა)იპ – ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამულიკოდი 05 02 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის დაგაგრძელების მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, რომლის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. კულტურის ცენტრი ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, ქმნის შესაბამის პირობებს, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს ფოლკლორული დაქორეოგრაფიული წრეები, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. თემებში არსებული კლუბები ხელს უწყობენ ადგილობრივ მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული თუ სხვა ტრადიციების შენარჩუნებას და წარმოჩენას (ბერმუხა, ქალთა ფოლკლორული ჯგუფები, ანსამბლი „არგინეთი“ და სხვა).



4.2.3 სსიპ – ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, შესაბამისად საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რათა კვლავინდებურად გააგრძელოს თავისი ტრადიციები. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღებას.

4.2.4 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, წარმატებული ახალგაზრდობის წახალისებას საჩუქრებით და საინტერესო პროექტების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების მათ შორის შუამთობის, ტბელობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში. ტარდება თვითშემოქმედი კოლექტივების დათვალიერებები და გამორჩეული კოლექტივები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

4.2.5 კულტურული ობიექტების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ოქრუაშვილების კლუბის მშენებლობა – მუნიციპალიტეტში სოფელი ოქრუაშვილები გამოირჩევა თავისი მოსახლეობის სიმრავლით, მაგრამ სოფელს არ გააჩნია ისეთი შენობა-ნაგებობა (არსებული ხის შენობა მოწველებულია და თითქმის მთლიანად ამორტიზირებულია), სადაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობის თავშეყრა და სხვადასხვა შეხვედრების თუ კულტურული და შემოქმედებითი სადამოების გამართვა. მოსახლეობის მოთხოვნის საუბველზე გადაწყდა ოქრუაშვილების კლუბის მშენებლობის სამუშაოების განხორციელება.

სხალთის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის მშენებლობა – რეაბილიტაცია – მოსახლეობის მოთხოვნის საუბველზე დაგეგმილია სხალთის ადმინისტრაციული ერთეულში კლუბის მშენებლობა – რეაბილიტაცია, რისი განხორციელებაც აუცილებელია თემში არსებული ქორეგრაფიული და ფოლკლორული გუნდების არსებობისა და შემდგომი განვითარებისათვის, ასევე შესაძლებელი იქნება მოსახლეობისათვის სხვადასხვა სახის შეხვედრების გამართვა.

რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის მშენებლობა (გარდამავალი) – იმის გათვალისწინებით, რომ თემს არ გააჩნია არცერთი სახის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების თუ სხვა სახის შეხვედრების ჩატარების ობიექტი, საჭირო გახდა აღნიშნული შენობის მშენებლობის განხორციელება, რაც 2015 წლიდან ხორციელდება და დასრულდება 2016 წელს. შედეგად რიყეთის თემის მოსახლეობას გაუჩნდება უსაფრთხო თავშეყრის ადგილი, ხელი შეეწყობა მოსახლეობის კულტურულ განვითარებას, მოქმედი კოლექტივების შრომის პირობების გაუმჯობესებას.

კურორტ ბეშუმში არსებული სცენის რეაბილიტაცია და საპირფარეშოს მშენებლობა – კურორტ ბეშუმში ყოველწლიურად იმართება კულტურული და სპორტული ღონისძიებები სახალხო დღესასწაულის (შუამთობა) აღსანიშნავად, რისთვისაც არსებული ინფრასტრუქტურა საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას.

4.2.6 ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობისა და ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას, რომლის მიზანია ახალგაზრდობაში შემეცნებითი და ინტელექტუალური ღონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდობის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

4.2.7 ა(ა)იპ – კურორტი ბეშუმი (პროგრამული კოდი 05 02 07)



ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბემუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში ინფრასტრუქტურის დაცვის და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

4.2.8 კულტურის სახლებისათვის ინვენტარის შექმნა (რიყეთი, ოქრუაშვილები) (პროგრამული კოდი 05 02 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ რიყეთში და ოქრუაშვილებში მშენებარე კულტურის სახლებისათვის ინვენტარის შექმნას, რითაც მოსახლეობა მიეცემა სხვადასხვა ღონისძიებების (კულტურული, შემეცნებითი) სრულყოფილი ჩატარების საშუალება.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა დაავადებებისაგან. ასევე მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის შენარჩუნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები მოწოდებულია, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა, ქრონიკულად დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

5.1.1 ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების მომსახურების გაუმჯობესებას (სულ 11 ამბულატორია), რისთვისაც ამბულატორია უზრუნველყოფს ექიმებს მედიკამენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით (მძღოლის ხელფასი, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, ავტომანქანის დაზღვევა, ოფისის ხარჯები და სხვა), რაც მოგვცემს ამბულატორიების გამართული და ეფექტური მუშაობის საშუალებას.

5.1.2 ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების (ეპილეფსია) მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებებით (ეპილეფსია) დაავადებულ ბავშვების თუ მოზარდების ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 71 ბენეფიციარზე.

5.1.3 პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 12 ბენეფიციარზე.

5.1.4 ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 06 01 05)



ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ გურძაულში ამბულატორიის შენობის მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უკეთეს სამედიცინო მომსახურებას.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

საზოგადოების ყველა წევრს, არ შეუძლია ამა თუ იმ მიზეზების გამო უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონე, ამიტომ აუცილებელია შრომისუუნარო მოსახლეობზე, სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარება. განსაკუთრებით მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ ინვალიდები და ომის ვეტერნები, მრავალშვილიანი ოჯახები, დედ-მამით ობოლი ბავშვები და უკიდურესად გაჭირვებული ოჯახები.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)

მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ხულოს მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია ერთი სასადილო დაბა ხულოში, რომელიც ემსახურება 40 ბენეფიციარს ყოველდღე უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით.

5.2.2 ვეტერანებსა და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზების და მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

